ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4643723

ნომერი: AR1690668

თარიღი : 27.06.2019

გაცემის თარიღი : 22.08.2019

გაცნობის თარიღი : 22.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მინდელის ქუჩა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სულხანიშვილი პ/ნ 01009018463
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 2 ბ. 37

ნომენკლატურა :

- სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204887952
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რუჯერი ჩირგაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010006760

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4428.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3472.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 14630.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12320.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2310.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 26.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 23.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 27 ივნისს №AR1690668 განცხადებით მომართა მოქალაქე ნიკოლოზ სულხანიშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში , მინდელის ქუჩა №3-ში, შპს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“ -ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.14.01.007.327), სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის დემონტაჟის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.
სამსახურის 2019 წლის 22 ივლისს № 4599354 ბრძანებით შეთანხმდა დემონტაჟის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2019 წლის 22 ივლისს № 4599354 ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ზემოაღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველეყო მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა და წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია. დამკვეთმა 2019 წლის 21 აგვისტოს წარმოადგინა ზემოაღნიშნული ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დამკვეთმა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მითითებები შეასრულა დროულად და სრულად.
1. შესრულებულად ჩაეთვალოს დამკვეთს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისს № 4599354 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობა.
2. 2019 წლის 2019 წლის 27 ივნისს №AR1690668 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ უნდა იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის წლის 22 ივლისს № 4599354 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.